საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ფ/პ ბიჭიკო ანთაძის
პ/ნ 33001019700
მის: ქ. თბილისი, რ. ჩხიკვაძის ქ. N 14, ბ.24
ქ. ოზურგეთი, გოლიაძის ქ. N 4

განცხადება

ბატონო ლევან

გაცნობებთ, რომ ფ/პ ბიჭიკო ანთაძეს, ქედის მუნიციპალიტეტში, სოფ. კორომხეთის მიმდ. ტერიტორიაზე მდ. აჭარისწყალზე, ქვიშა-ხრეშის მოპოვების მიზნით ვფლობ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია N10000428, რომელიც გაცემულია სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ, 2018 წლის 19 დეკემბერს.

ლიცენზირებული ობიექტის სიახლოვეს, მდინარის კალაპოტთან ახლოს მდებარეობს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" #319 ანძა. ანძის სიახლოვეს შექმნილია მდინარის ხელოვნური ჩაღრმავება, მანამდე იქ არსებული მოპოვებების შედეგად. კონკრეტულად კი, ლიცენზირებული ტერიტორიის სიახლოვეს მდინარე გადმოსულია ძირითადი კალაპოტიდან, დატოტილია და საშიშროებას უქმნის იქ არსებული ელექტროგადამცემი ხაზის საყრდენებს.
აქედან გამომდინარე, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან" შეთანხმებით ჩემს მიერ დაგეგმილია №319 ანძის საძირკვლების გამაგრებითი სამუშაოების განხორციელება. იმის გამო, რომ ზემოაღნიშნული მოპოვებების გამო მდინარის კალაპოტი არის შეცვლილი, მისი შეცვლის გარეშე ანძა ისევ დადგება წარეცხვის საშიშროების წინაშე, ამიტომ საჭირო გახდა მდინარის პირვანდელ კალაპოტში დაბრუნება.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოვმართე თქვენს სამინისტროს და თქვენი 2019 წლის 15 მაისის #4910/01 წერილის შესაბამისად, ჩემს მიერ დაგეგმილი მდინარის ნაპირგამაგრებითი სამუსაოები საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის, 9,13 ქვეპუნქტის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ გარემოსდაცვითი სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას სკრინინგით გათვალისწინებული საქმიანობის გზშ-სთან დაქვემდებარების სესახებ.

დანართი: 1. სკრინინგის ანგარიში - 1 ეგზ.
2. ანგარიშის ელექტრონული ვერსია და shape ფაილები - 1 CD დისკზე

პატივისცემით,

ბიჭიკო ანთაძე

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 7658
27 05 2019
1 ფ.
02